პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
პარასკევი
8 მაისი
№ 106 (18048)
ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის 1981 წლის I კვარტალის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, რომლებმაც განიხილეს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის მიერ წარდგენილი მასალები, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის 1981 წლის I კვარტალის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებად ცნეს:

I ზონა

თელავის რაიონი — **პირველი** ადგილი
სიღნაღის რაიონი — **მეორე** ადგილი
გარდაბნის რაიონი — **მესამე** ადგილი

II ზონა

ლენინგორის რაიონი — **პირველი** ადგილი
მცხეთის რაიონი — **მეორე** ადგილი
ხაშურის რაიონი — **მესამე** ადგილი

III ზონა

ადიგენის რაიონი — **პირველი** ადგილი
ბოგდანოვკის რაიონი — **მეორე** ადგილი
წალკის რაიონი — **მესამე** ადგილი

IV ზონა

ქედის რაიონი — **პირველი** ადგილი
ლენტეხის რაიონი — **მეორე** ადგილი
ორჯონიკიძის რაიონი — **მესამე** ადგილი

V ზონა

ზესტაფონის რაიონი — **პირველი** ადგილი
მაიაკოვსკის რაიონი — **მეორე** ადგილი
ქალაქ ტყიბულის ზონა — **მესამე** ადგილი

VI ზონა

გეგეჭკორის რაიონი — **პირველი** ადგილი
ჩხოროწყუს რაიონი — **მეორე** ადგილი
წალენჯიხის რაიონი — **მესამე** ადგილი

VII ზონა

გულრიფშის რაიონი — **პირველი** ადგილი
ქობულეთის რაიონი — **მეორე** ადგილი
ხელვაჩაურის რაიონი — **მესამე** ადგილი

აღინიშნა პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა ახალქალაქისა და ახალციხის რაიონებში, რომლებმაც ვერ შეასრულეს ხორცისა და რძის დამზადების გეგმა; დუშეთის, თიანეთისა და სოხუმის რაიონებში, რომლებმაც ვერ შეასრულეს ხორცის დამზადების გეგმა; ჯავის, გორის, ზნაურისა და ხულოს რაიონებში, რომლებმაც ვერ შეასრულეს რძის დამზადების გეგმა.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს დაევალა გამოყონ სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები მეცხოველეთა შეჯიბრების გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად. (საქინფორმი).

ოქტომბრის მიერ დასახული გზით

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლის თავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

გაზაფხულის ხასხასა ფერების მოელი მშვენიერებით მოვიდა აჭარის მიწა-წყალზე დიდი დღესასწაული — აქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავი. საზეიმოდ მოოთხავთ ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქები და სოფლები. განსაკუთრებით ლამაზია ამ დღეებში ბულვარში ჩაფლული ბათუმი — საბჭოთა აჭარის დედაქალაქი. მისს მოედნები და ქუჩები მორთულია ალისფერი დროშებით, ტრიბუნებით. შენობათა ფასადებზეა მარქსის, ენგელსის, ლენინის, სკკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის, სკკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისა და წევრობის კანდიდატების პორტრეტები. ტრანსპარანტებზე წარწერილია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, ჩვენი ქვეყნის ხალხების ურღვევი მეგობრობის გადიდებული სიტყვები, შრომითი ოლეკტივების ამ ახალი მიღწევების პატაკები, რომლებიც ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა, მოწოდებანი მთელი ძალ-ღონე, შემოქმედებითი ენერგია მოახმარონ სკკკ XXVI ყრილობის მიერ დასახულ დიად ამოცანათა განხორციელებას.

საბჭოთა აჭარის მშრომელებს ბევრი აქვთ საამაყო. მათ ვადამდე შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, სურნელოვანი ციტრუსების კრეფის მეათე ხუთწლედის გეგმა, მიაღწიეს შრომის უმაღლეს ნაყოფიერებას სამრეწველო საწარმოებში და კარგი სტარტი აიღეს მეთერთმეტე ხუთწლედში. სკკკ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით გაწოლილი ორხახული პოლიტიკური და შრომითი ენთუზიაზმი გამოიხატება დამკვრელური, თადიდებული შრომით, შრომითი ოლეკტივების გადაწყვეტილებით რაც შეიძლება მეტი წვლილი შეიტანონ ჩვენი დიადი სამშობლოს შემდგომ აყვავებაში.

...7 მაისი. ქალაქის მთავარ მაოისტრალზე — სანაპიროზე, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ ოედანზე თითქოს მთელი ბათუმი გამოსულა. ბევრს მკერდს უმშვენებს ოქროს ვარსკვლავები, ორდენები და მედლები... ესენი არიან აჭარის სიმამაცე — მისი საუკეთესო ადამიანები, რომლებაც რესპუბლიკას სახელი გაუთქვეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ყველა მიმართულებით. შრომითი აჭარის სიხარულის ოზიარებენ მრავალრიცხოვანი სტუმრები.

საღამოსასწაულოდ არის მორთული ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრი. აქ გაიმართა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლის თავისადმი მიძღვნილი საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს ერთობლივი საზეიმო სხდომა, გაერთიანებული საზეიმო სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, საბჭოთა არმიის მეომრები.

სცენის სიღრმეში მოჩანს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ვ. ი. ლენინის ყვავილებით მორთული დიდი სკულპტურული პორტრეტი, იქვე სამშობლოს მაღალი ჯილდოები, რომლებიც აჭარის ასს რესპუბლიკას მიენიჭა — ლენინის, ოქტომბრის რევოლუციისა და ხალხთა მეგობრობის ორდენები. სკკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშასთან, რომელიც მეშვიდედ მიენიჭა ავტონომიურ რესპუბლიკას, საბჭოთა აჭარის წითელ დროშასთან საპატიო ყარაული დგას.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში ნათქვამია, რომ უნდა უზრუნველყოთ კავშირგაბმულობის მომსახურებაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილების უფრო სრული დაკმაყოფილება. ამ ხნის განმავლობაში ჩვენს რესპუბლიკაში ტელეფონების რაოდენობა 100 მცხოვრებზე 12-დან 19-მდე გაიზრდება.

(დასასრული მე-2 გვ.).

XI ხუთწლედის კორიზონტები

გულთბილი მისალმება

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ნ. ა. ტიხონოვმა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ერიხ ჰონეკერს და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ვილი შტოფს გაუგზავნეს მისასალმებელი დეპეშა ფაშიზმისაგან გერმანელი ხალხის განთავისუფლების 36-ე წლისთავის გამო. (საკდესი).

ვიზიტი დამთავრდა

კიევი, 7 მაისი. (საკდესი). დღეს სკკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. შჩერბიცკიმ მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი კ. ვალდჰაიმი. საუბრის დროს, რომელიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, მათ ერთმანეთს გაუზიარეს აზრი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობისა და თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთ საკითხზე.

ვ. ვ. შჩერბიცკიმ აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საბჭოთა საგარეო-პოლიტიკური ინიციატივების კომპლექსის რეალიზაციას, რომელიც სკკკ XXVI ყრილობაზე წამოაყენა სკკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა და რომელთა მიზანია დაძაბულობის შენელების განგრძობა და გაღრმავება, გამალებული შეიარაღების ალაგმვა და განიარაღება, საერთაშორისო უშიშროებისა და მშვიდობის განმტკიცება. ამასთან დაკავშირებით კ. ვალდჰაიმმა დიდად შეაფასა ლ. ი. ბრეჟნევთან თავისი შეხვედრა. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივები სერიოზულ განხილვას იმსახურებს.

გამოითქვა აზრი, რომ მსოფლიოში მზარდი დაძაბულობის პირობებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა გააქტიუროს მეცადინეობა, რათა შეასრულოს თავისი ძირითადი ამოცანა — თავიდან აიცილოს კაცობრობას ომის საშინელებანი.

დღესვე კ. ვალდჰაიმი სსრ კავშირიდან გაემგზავრა.

ოქტომბრის მიერ დასახული გზით

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლის თავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში არიან სკკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუნიძე, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. სანაკოევი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ო. კობახია, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ე. ა. ბაბუაშვილი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ბათუმის შაუმიანის საარჩევნო ოლქისაგან, სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის სამინისტროს გენერალური კონსტრუქტორი რ. ა. ბელიაკოვი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეიოროს წევრები, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის, სამოქალაქო და დიდი სამამულო ომების ვეტერანები, სახალხო მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საიუბილეო ზეიმზე ჩამოსულ დელეგაციათა წევრები.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა ვ. რ. პაპუნიძემ.

— საბჭოთა აჭარა დიდი ოქტომბრის პირმშოა, — თქვა მან. — სოციალისტურმა რევოლუციამ დაგვისახა თავისუფლების გზა, შეგვიქმნა ყველა პირობა, რათა გადაგვხოვიელენინა აჭარის — წარსულში საქართველოს ამ ჩამორჩენილი კუთხის მშრომელთა საუკუნოვანი ოცნება ახალი ცხოვრების შესახებ.

მოკლე ისტორიულ ვადაში აჭარამ განვითარების ისეთ მიჯნებს მიაღწია, რომლებსაც სხვა სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მრავალი საუკუნე დასჭირდებოდა. ამ გზაზე იგი დღეხიადაგ გრძნობდა დედასაქართველოს, თავისი უფროსი ძმის — დიდი რუსი ხალხის, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ქმედითს დახმარებას. დღევანდელი დღესასწაული საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის სამოცი წლის იუბილეს შემადგენელი ნაწილია.

დარბაზში ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

ერთსულოვნად, დიდი აღმავლობით ირჩევენ საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში სკკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. ა. შევარდნაძეს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს პ. გ. გილაშვილს, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ვ. რ. პაპუნიძეს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშასთან, რომელიც მეშვიდედ მიენიჭა ავტონომიურ რესპუბლიკას, საბჭოთა აჭარის წითელ დროშასთან საპატიო ყარაული დგას.

ტაშის ტალღებზე ირჩევენ: საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში დამკვიდრდა ყველგან და საბოლოოდ.

სწორედ ამ დღიდან დაადგა საბჭოთა აჭარა განვითარების სოციალისტურ გზას, სწორედ ამ დღიდან დაიწყო მისი მტკიცე წინსვლა საზოგადოებრივი პროგრესის მწვერვალებისაკენ. ამ გზაზე ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა შესანიშნავი საქმეები და მიღწევები ჩვენს სიხარულსა და სიამაყეს იწვევს, რადგან ისინი მიგვაჩნია 60 წლის მანძილზე საბჭოთა საქართველოს საერთო მიღწევებში შეტანილ არსებით წვლილად, რადგან მათ დაამშვენეს სოციალიზმისა და კომუნიზმის შენებლობის ეპოქაში რესპუბლიკის მატიანის ყველაზე შთამბეჭდავი ფურცლები.

ამ სახელოვანი მატიანის ერთ-ერთი შესანიშნავი თავის შედეგები შეაჯამა ამ ციტა ხნის წინათ ლენინური პარტიის XXVI ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, როცა თავის მოხსენებაში მაღალი შეფასება მისცა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობას რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპის დასაჩქარებლად. ჩვენ ვიცით, რომ ამ შეფასებამ აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის უფართოესი და უმხურვალესი გამოხმაურება გამოიწვია და უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის სტიმული გახდა.

დღეს ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ საბჭოთა აჭარა თავის იუბილეს ეგებება შემოქმედებითი ძალების აყვავების ხანაში, ენერგიითა და ოპტიმიზმით აღსავსე, კომუნისტური მშენებლობის იმ ახალი მიღწევების მოსაპოვებლად შემართული, პარტიის ყრილობამ რომ დაუსახა ყველა ჩვენგანს.

ნება მიბოძეთ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით, ჩვენი რესპუბლიკის ყველა კომუნისტისა და მშრომელის სახელით მთელი სულითა და გულით მიგულოცოთ ავტონომიურ რესპუბლიკას, მის მშრომელებს, მთელ მოსახლეობას ეს ნათელი დღე, ტურფა მხარის ახალგაზრდობისა და აყვავების დღესასწაული.

დღეს, როდესაც საბჭოთა აჭარის იუბილეს ვიხდიდთ, მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა მეორე დიდმნიშვნელოვან თარიღზეც. გავა სულ რამდენიმე დღე, და ჩვენ თბილისში შევიკრიბებით, რათა აღვნიშნოთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის მე-60 წლისთავი. ამ ზეიმობაზე დიდაქალაქში ჩამოვლენ ჩვენი საოკეანეთესო ადამიანები, გვიშვიენან სტუმრები მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებიდან. როგორც იცით, ჩვენ ამ იუბილეზე მოვიწვიეთ სკკკ XXVI ყრილობის ყველა დელეგატი და, პირველ ყოვლისა, თითოეული ჩვენგანისათვის ყველაზე სასურველი სტუმარი ლენინდი ილიას ძე ბრეჟნევი.

ასე რომ, ამ იუბილეს გადახდას ძალზე ფართოდ ვეპირებთ თქვენთან ერთად. თბილისისა და ბათუმის ზეიმობანი იმდენად მჭიდროდ და უშუალოდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, ისევე როგორც ზეიმი სოხუმში, ცხინვალში, რომ მათი ცალ-ცალკე განხილვა შეუძლებელიც კია. თბილისში უკვე სოციალისტური საქართველოს ისტორიის ქამთაარიცხვა დაიწყო, როცა ბათუმში მეწმენდეური მთავრობის უკანასკნელი დასაყრდენი დაემხო.

და იმ მყისიერებაში, რომლისაც რევოლუციური აჯანყების ალი მოიდო მთელ რესპუბლიკას, ჩვენ ვხედავთ დიადი ლენინური იდეების უძლეველი ძალისა და მიმზიდველობის კიდევ ერთ გამოვლინებას, ვხედავთ ხალხის დაფიქრებულ სწრაფვას — რადაც უნდა დასჯდომოდა ჩამოვდგა სოციალური უსამართლობის ეული.

უდიდესი როლი შეასრულა ამანაც, რომ საქართველოს მუშებსა და გლეხებს ჰქონდათ სანიმუშო პრაქტიკული მაგალითი საკუთარი სვე-ბედის გადამჭრელი შემობრუნებისა. ეს გახლდათ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, საბჭოთა რუსეთის მაგალითი. საქართველოს მუშებმა და გლეხებმა იცოდნენ, რომ რევოლუციურ აჯანყებაში მტკიცედ შეიძლოთ ჰქონოდათ საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო დახმარების იმედი, დიდი ლენინის მხარდაჭერის იმედი. და საბჭოთა რუსეთის სიტყვის ერთგული გამოდგა. იგი პირველი მოხმობისთანავე აღდგა აჯანყებულთა დასახმარებლად.

საოკეანეო განსაცდელისა და უბედობის ჯზით მიდიოდა თავისი ისტორიის ნათელი დღისაკენ ჩვენი საყვარელი აჭარა. ვინ მოთვლის, ვინღა არ შემოჭრილა ჩვენს მიწა-წყალზე, რა ჯურის დამპყრობლები არ დახარბებია მას. მტრის ურდოები დათარეშობდნენ საქართველოში, წვავდნენ სახლებს, ხოცავდნენ ვაზს. და აჭარა მთელ საქართველოსთან ერთად მამაცურად ებრძოდა დამპყრობლებს. ასე იღო საოკეანეთა განმავლობაში. მაგრამ იფიტებოდა ძალები ულთანასწორო ბრძოლაში. და აი, დადგა ავადსახსენებელი დღე, როცა აჭარა საძულველი ბატონობის წყდიადმა მოიცვა. მთელი სამი საუკუნით აღმოჩნდა იგი მოწყვეტილი თავის ბუნებრივ სულიერ საგანძურს, დედაკულტურას, ქართულ კულტურას, რომლის აქტიურ შემოქმედადაც მუდამ სამართლიანად ითვლებოდა ეს შესანიშნავი მხარე. აორაცხელი უბედურება მოიტანა ოცხოლთა ბატონობამ. დამპყრობლებს სურდათ აეძულებინათ მხარის მოსახლეობა, დაევიწყებინა თავისი რაობა, ოდინდელი ტრადიციები, ენარი ეთქვა დედაენაზე—ქართულ ენაზე. ცვლილებათ და მახვილით ითრგუნებოდა ყველაფერი, რაც მშობლიურთან იყო დაკავშირებული. ხალხი მაინც არ შეეპუა ბატონობას.

მის სანუკვარ ოცნებას, მთელი ქართველი ერის სანუკვარ ოცნებას — სამშობლოს გაერთიანების ნატვრას მხოლოდ ბასული საუკუნის მეორე ნახევარში ეწირა სულოლება. და ჩვენ არასოდეს არ დაგავიწყდება ის გადამწყვეტი როლი, ამ საქმეში რომ შეასრულა დიდმა რუსმა ხალხმა. ობიექტიურობა, სამართლიანობა მოითხოვს, რომ ჩვენ არასოდეს არ დავავიწყდეს რუსი ჯარისკაცის, რუსეთის არმიის ეს სიმამაცე. ეს ერთ-ერთი უბრწყინვალესი მაგალითია რუსი ხალხის განმათავისუფლებელი მისიისა, მისი ინტერნაციონალიზმისა და ერთგული მეგობრობისა. ეს ერთი იმ მოვლენათაგანია, ჩვენი მეგობრობის მატიანის ერთი იმ ეპიზოდთაგანია, რომლებმაც სამუდამოდ შეიკვადუღაბეს, განუყოფლად აქციეს ჩვენი ქვეშრი, გულთა ქვეშრი.

დედასაქართველოს შემადგენლობაში აჭარის დაბრუნება უდიდესი პროგრესული მნიშვნელობის აქტი გახდა. მაგრამ ეს აქტი ობიექტური ისტორიული პირობების გამო ვერ მოხერხდა და ალ ვერც მოუტანა ხალხს შვება და სრული თავისუფლება, ვერ იხსნა იგი ექსპლოატაორული კლასებისაგან.

აჭარის მშრომელთა მასებს, ისევე როგორც მთელ ქართველ ხალხს, საქართველოში მეხოვრის ყველა ხალხს, ჭეშმარიტი თავისუფლება მოუტანა საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელმაც დაამხო ექსპლოატატორული წყობილება. და ჩვენ აქაც ქვეშრი ვიდექით დიდ რუს ხალხს. მისი მაგალითი, მისი ძმური მხარდაჭერა დაეხმარა აჭარის მშრომელ ხალხსაც სრულად გამოვლენინა მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა მძლავრი შემოქმედის ნიჭი, დაეხმარა მას საყვარელი მხარე გადაექცია საბჭოთა საქართველოს ოყვავებულ, მაღალგანვითარებულ რეგიონად.

მაგონდება მისალმება, რომლითაც 60 წლის წინათ მიმართა საქართველოს რევკომმა აჭარის მშრომელებს: „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა სალამს უძღვნის ბათუმის პროლეტარიატს და აჭარის მთელ მშრომელ მასებს... ამიერიდან აჭარის მუშები და გლეხები ხდებიან თავიანთი მიწის, თავიანთი ქვრის სრული მეპატრონენები, თავისუფლდებიან ძალმომრეობისაგან, ბეგების, მემამულეებისა და მდიდარი ხალხის მონობის უღლისაგან, ხალხს საშუალება ეძლევა თავისი ცხოვრება თვითისუფლად მოაწყოს, ისე როგორც შეიფერების მათ ყოფა-ცხოვრებას, საარწმუნოებრივ ზნე-ჩვეულებებს, საბჭოთა კონსტიტუციის საფუძველზე“.

ამ დღეს აჭარის მშრომელები თავიანთი მიწა-წყლის სრული ბატონ-პატრონები გახდნენ. და მათ მტკიცედ წარმართეს მისი ეკონომიკა წარმატებული აღმასვლის გზით. ნახევრად შინამრეწველური ნაკეთობებიდან ფრთოლის ტიპრწოლოგიურ მოწყობილობამდე, ინჟინრული აზროვნების საკირველ ქმნილებებამდე, — აი, როგორი გზაა გამოვლილი ამ 60 წლის მანძილზე. სამრეწველო წარმოების მოცულობა ავტონომიურ რესპუბლიკაში 190-ჯერ და მეტად გაიზარდა.

ამ დღეს აჭარის მშრომელები სრულუფლებიანი ბატონ-პატრონები გახდნენ თავიანთი მიწა-წყლისა, რომელსაც მთელი თავიანთი მდიდარი სულის მხურვალება ჩაეჭესოვეს. დღეს ეს მიწა, რომელიც 60 წლის წინათ ძლივს არჩენდა თავის ბინადართ, ქვეყნის მთავარ ცენტრუსის ბაღად იქცა, რომლის ფართობი თითქმის 30-ჯერ გაიზარდა. ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა საქართველოში მოწეული მთელი ჩაისა და თამბაქოს დიდ ნაწილს გვაძლევს.

ამ დღეს აჭარის მშრომელები თავიანთი სვე-ბედის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონები გახდნენ. და მათ იგი ნამდვილად გაამშვენიერეს და გაამეტებინეს. სოციალიზმის პირობებში მკვეთრად გაუმჯობესდა ხალხის კეთილდღეობა, უმაღალითო აყვავების ხანა დაუდგა მეცნიერებას და კულტურას. დღეს ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო ეკონომიკის წარმომადგენლებს დიდი წვლილი შეაქვთ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების გაღვიძებაში, ეროვნულ მეცნიერებისა და ტექნიკის აქტიურ პრობლემებს.

სხვაგან სად, რომელი სოციალური წყობის პირობებში იქნებოდა შესაძლებელი ოდესღაც დაბეჩავებული ხალხის ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ასეთი გიგანტური აღმფრენა ასე მოკლე დროში! ავტონომიური რესპუბლიკის ყველა წარმატება, მთელი ის უდიდესი მატერიალური და სულიერი ღირებულებანი, რომლებიც მას აქვს, — ეს არის სოციალიზმის მოხაპავართა შედეგი, ჩვენი პარტიის პოლიტიკის განუხრელი განხორციელების, ჩვენი სამშობლოს ყველა მოძმე ხალხის და უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, რუსი ხალხის უანგარო დახმარების შედეგი.

„ჩვენი ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა, — თქვა სკკკ XXVI ყრილობაზე ამხანაგმა ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევმა. — საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე ისე იგებოდა, რომ რაც შეიძლება მალე დაგვეწინაურებინა რუსეთის ყოფილი ეროვნული განაპირა მხარეები მისი ცენტრის განვითარების დონემდე. და ეს ამოცანა წარმატებით გადაწყდა“. ამ აზრის ერთ-ერთი დამაჯერებელი დასტურია დღეს აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მაგალითი, რომელიც მტკიცედ ადგას საბჭოთა ხალხების დიადი თანამეგობრობის განმტკიცების გზას.

ჩვენ კარგად გვახსოვს, რა მეგავიდრეობა დაეტოვა წარსულმა საბჭოთა ხელისუფლებას აჭარაში, — თითქმის მთლიანად გაპარტახებული ეკონომიკა, უმოქმედოდ გაჩერებული საწარმოები, გაჩანაგებული სოფლის მეურნეობა. ინტერვენტთა და მენშევიკთა ყაჩაღური ექსპლოატაციის შედეგად წარმოება მინიმუმამდე შემცირდა, შეწყდა სავაჭრო ურთიერთობა. ყველგან ნგრევას დაესადგურებინა.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ აჭარაში მიიღო სხვა მემკვიდრეობაც, მემკვიდრეობა, რომელიც უჩვეულო ძალის პოტენციურ მუხტს შეიცავდა. ეს გახლდათ სახელოვანი ტრადიციები ბათუმის პროლეტარიატისა, რომელიც თბილისის, ქუთაისის, სხვა სამრეწველო ცენტრების პროლეტარიატთან ერთად მუდამ იყო საქართველოში რევოლუციური ბრძოლის ავანგარდში. მაგალითად, ფართოდ არის ცნობილი ბათუმის რევოლუციური ტრადიციები, ბარცხანის რევოლუციური შტაბის საქმიანობა, ცნობილია რომ თქვენი ქალაქის მუშათა კლასი საქართველოში ერთ-ერთი პირველი აქტიურად გამოეხმაურა 1905 წლის 9 იანვრის „სისხლიანი კვირის“ ამბებს. ბათუმთან იყო დაკავშირებული გამოჩენილი ლენინელი რევოლუციონერების იოსებ სტალინის, ალექსანდრე წულუკიძის, მამია ორახელაშვილის, ნესტორ ლაკობასა და სხვათა მოღვაწეობის დიდმნიშვნელოვანი ეტაპები. ბათუმის პროლეტარიატის რიგებიდან გამოვიდა ისეთ მებრძოლთა პლეადა, როგორებიც იყვნენ სერგო ქავთარაძე, თენგიზ ყიღინტი, სერგო გუბელი (მეძმარიაშვილი), ვალერიან ბახტაძე, მიხეილ კახიანი, ივანე პევცოვი, მემედ აბაშიძე, ჰაიდარ აბაშიძე, ნიკოლოზ ანსატასიადი, კირილე ბერძენიშვილი, კალისტრატე სალია, ანა პირუმოვა, ვიქტორ სიხარულიძე და სხვა მრავალი.

რევოლუციური მუშაობის დიდმა გამოცდილებამ, მასობრივმა ენთუზიაზმმა გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, როცა სასწრაფოდ უნდა გაგვეგითარებინა მხარის საწარმოო ძალები, აგვეორძინებინა მისი ეკონომიკა. მხოლოდ ამ პირობით თუ მოუტანდა საბჭოთა ხელისუფლება აჭარის მშრომელებს საბოლოო და სრულ განთავისუფლებას საუკუნო ჩამორჩენილობისაგან; კომუნისტებმაც დარაზმეს მასები ამ ამოცანის გადასაწყვეტად და მტკიცედ გაუძღვნენ მათ.

სოციალისტური წყობილების პირობებში საბჭოთა აჭარის ექვსი ათწლეული — ეს არის წლები, რომლებიც მიღწევათა მასშტაბით, მოვლენათა სისავსით, დაბარჯული ენერგიის მოცულობით ჭეშმარიტად ასწლეულების დარია. ამ ათწლეულთაგან თითოეულს ჰქონდა თავისი დამახასიათებელი ნიშნები, თავისი განუმეორებელი თვისებები. მაგრამ მხარის მთავარ სიმდიდრეს ყოველთვის შეადგენდნენ მისი ადამიანები, გამარჯვენი მშრომელები, პატრიოტები და ინტერნაციონალისტები. ამ ადამიანთა თითოეულმა თაობამ არა მარტო პირნათლად მოიხადა ვალი ისტორიის წინაშე, არა მარტო შეამატა თავისი წვლილი მომწიფებული სოციალიზმის მატერიალური საფუძვლების შექმნის, სა-

(დასასრული მე-2 გვ.).

დიდი ლენინის სახელით

7 მაისს, აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლის თავის ზეიმობის დღეს, ბათუმის ლენინის მოედანზე შეიკრიბნენ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, მშრომელი ინტელიგენციის წარმომადგენლები, საბჭოთა არმიის მეომრები, პარტიისა და კომკავშირის, ომისა და შრომის ვეტერანები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები.

ვ. ი. ლენინის ძეგლთან მოვიდნენ სკკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუნიძე, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. სანაკოევი, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ე. ა. ბაბუაშვილი, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. გ. უნგიაძე, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ო. კობახია, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. დ. გაბუნია. აქვე არიან აჭარაში ზეიმზე ჩამოსულ სხვა დელეგაციათა მეთაურები და წევრები.

დგება საზეიმო წუთი. ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე და პ. გ. გილაშვილი ვ. ი. ლენინის ძეგლს გვირგვინით ამ

ოქტომბრის მიერ დასახული გზით

(დასასრული)

ზოგადოებისა, რომლის პირობებშიც ჩვენ ახლა ვცხოვრობთ, არამედ გაგვამდიდრა კიდეც ახალი მაღალი ზნეობრივი თვისებებით.

ამ თვისებებს განზოგადებულად განასახიერებენ საბჭოთა აჩარის მშრომელთა ახლანდელი თაობის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებსაც მხარს უსწორებს მთელი ჩვენი რესპუბლიკა. და ასეთი ადამიანები დღეს მრავლად არიან ავტონომიურ რესპუბლიკაში — მეთამბაქოე თალიკო მახარაძე, გემთამფლობი აფრასიონ დარასელია, სამკერვალო გაერთიანების დირექტორი მერი ხალვაში, მეჩაიე გუგული ჭანიძე, რომლებიც საოლქო პარტიული ორგანიზაციის კომუნისტებმა თავიანთ დელეგატებად წარგზავნეს XXVI ყრილობაზე. ესენი არიან ასობით და ათასობით ნოვატორი, წარმოების მოწინავენი, ესენი არიან სოციალისტიური შეჯიბრების გამარჯვებულნი, დიპლომატები, ღირსეულად რომ წარმომადგენლობენ ხალხს საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებში.

მათ ლენინელ რევოლუციონერთა სახელოვანი თაობისაგან შეისისხლხორცეს ისეთი თვისებები, როგორიც არის მიზანსწრაფვა, ურყევი სიმტკიცე, პარტიისა და ხალხის იდეალების ერთგულება. გმირული სულის კვეთების უხილავი ძაფი აკავშირებს აჩარის დღევანდელი საქმეების პათოსს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის მებრძოლთა აზრებთან და გრძნობებთან. სამწუხაროდ, წუთისოფლის კანონები ისეთია, რომ ამ შესანიშნავ ადამიანთა რიგები სულ უფრო თხელდება. მაგრამ რაც უფრო ნაკლებნი რჩებიან, მით უფრო მტკიცედ აღგვიჩენდება მადლიერ ხსოვნაში ამ გმირული დღეების მოვლენები, რომელთა უშუალო მონაწილენიც იყვნენ ისინი.

20-იანი წლების კომუნისტთა თაობისაგან შეისისხლხორცეს საბჭოთა აჩარის ახლანდელმა მშრომელებმა უმრეტი ენთუზიაზმი, თავდადება მუშაობაში, უნარი — არად ჩააგდონ გაჭირვება და სიძნელენი დასახული მიზნის მისაღწევად. ამ თაობის წარმომადგენლები არ ფიქრობდნენ პირად ინტერესებზე, იმაზე, თუ რა მსხვერპლის ფასად უჯდებოდათ ყოველი წინაგადადგმული ნაბიჯი და საგულდაგულოდ ამენებდნენ სოციალისტურ სახალხო მეურნეობას.

1921 წლის 16 მარტს, რკპ (ბ) X ყრილობის დახურვისას, ვ. ი. ლენინი ამბობდა: „წაიკითხეთ თუ არა გაზეთში, რომ იხსნება ბაქოთბილისის ნავთობსადენი? თქვენ მაღე წაიკითხავთ, რომ ასეთივე ნავთობსადენი გაყვანილია ბათუმადე...“ ეს ნავთობსადენი მაღე აშენდა. აიგო ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა, საფუძველი ჩაეყარა რომ მრეწველობას, გაშენდა ციტრუსებისა და ჩაის პირველი დიდი პლანტაციები. სწორედ ამ თაობის მიერ ნახარებნი ნერგებმა გადაქცეულ დღეს აჩარა აყვავებულ ბაღნარად.

სიმტკიცე და თანამიმდევრულობა, მიზნის სიცხადე, — აი, რა ნიშან-თვისებები შეისისხლხორცეს საბჭოთა აჩარის მშრომელებმა 30-იანი წლების კომუნისტების, ჩქაროსანთა მოძრაობის მონაწილეების, ალექსი სტახანოვის მიმდევრებისაგან. ამ პერიოდში მხარის ეკონომიკა მტკიცედ იკრებდა ძალ-ონონს და ძლიერებას, გადადიოდა ინდუსტრიულ რელსებზე— იქმნებოდა მსხვილი სოციალისტური მრეწველობა, მთავრდებოდა კოლექტივიზაცია სოფლის მეურნეობაში. მაგრამ მარტოოდენ მისწრფეტება და ენერგია, მარტოოდენ ენთუზიაზმი საკმარისი აღარ იყო. ადამიანებს მოეთხოვებოდათ მტკიცე ცოდნა, კვალიფიკაცია. და აი, ომამ-ომამებით, ძნელი სამუშაო დღის შემდეგ, ისინი წიგნებს ჩაუჯდებოდნენ ხოლმე. ამ წლებში გადადგა პირველი ნაბიჯი ავტონომიურ რესპუბლიკაში მანქანათმშენებლობამ, რომელიც დღეს მნიშვნელოვნულად განსაზღვრავს მისი მრეწველობის სპეციალიზაციას, ხოლო ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხანა დღესაც ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ ოდიდეს საწარმოდ ითვლება.

იმავე წლებში აჩარაში აშენდა ჩვენს ქვეყანაში პირველი ციტრუსკომბინატი. ლენინის „ფოელროს“ გეგმის მიხედვით პირველი დენი გამოუშვა აჩარისწყლის ჰიდროელექტროსადგურმა.

საბჭოთა ხალხის ისტორიაში უმაგალითო გმირობით აღინიშნა 40-იანი წლების თაობის ცხოვრება. მისგან შეისისხლხორცა საბჭოთა აჩარის ახლანდელმა თაობამ, დღევანდელმა ახალგაზრდობამ ვაჟკაცობა და გულადობა, მზადყოფნა — ყოველ წუთს აღდგეს სამშობლოს დასაცავად, არავის დაანებოს სოციალიზმის მონაპოვარნი. 25 ათასი მეომარი მისცა აჩარამ ფრონტს. მათგან რვა ათასი ვეღარ დაუბრუნდა მშობლიურ კერას. მაგრამ ფრონტის ხაზი მარტოოდენ ბრძოლის ველზე კი არა, ზურგშიც გადიოდა. ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობა ყაიდაზე გარდაიქმნა. თავდადებით შრომობდნენ ჩარხებთან და საკოლმეურნეო მინდვრებში ქალები, ყმაწვილები, მოხუცები. ბევრმა მათგანმა სამხედრო ტექნიკის შექმნას მარტოოდენ თავისი შრომა კი არა, მთელი პირადი დანზოგიც მოახმარა. ზეგ — 9 მაისს ჩვენ გამარჯვების დღეს ვზეიმობთ. ნება მიბოძეთ ყველა აქ მყოფის სახელით მივულოცო ჩვენს ვეტერანებს, იმათ, ვინც სისხლს ღვრიდა ფრონტზე და ვინც გმირულად შრომობდა ზურგში ამ დღის მოსაახლოებელად, მივულოცო მთელ ჩვენს საქართველოს, ჩვენს სამშობლოს სამამულო ომში საბჭოთა ხალხს გამარჯვების 36-ე წლისთავი.

საბჭოთა აჩარამ, რომელიც მთელ ქვეყანასთან ერთად ჩაება ომისშემდგომი აღორძინების ფერხულში, 50-იან და 60-იან წლებში კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ თავისი განვითარების გზით. გარდაიქმნა და გაახალგაზრდავდა ბათუმი, დამშვენდა რაიონული ცენტრები და სოფლები. სახე იცვალა ბევრმა საბრეწველო საწარმომ, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობდა რეკონსტრუქცია. ხორციელდებოდა კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია. გაფართოვდა მშენებლობის მასშტაბი, გაჩნდა მრეწველობის ახალი პროგრესული დარგები, როგორიც არის მაგალითად, ელექტროტექნიკური მრეწველობა, შეიქმნა საქართველოს საზღვაო სანაოსნო, რომელმაც აამაღლა ბათუმის საზღვაო ნავსადგურის როლი და მნიშვნელობა. კიდევ უფრო მეტად განამტკიცა ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკა.

როცა დღეს ვაანალიზებთ წარსული წლების გამოცდილებას, ბუნებრივია, ამხანაგებო, ამ გამოცდილების მარტოოდენ დადებითს ნიშან-თვისებებს, მარტოოდენ მიღწევებს როდი ავვნიშნავთ. ჩვენ ვხედავთ შეცდომებსაც, ხარვეზებსაც, გამოგვაქვს საჭირო დასკვნები, რათა ისინი აღარ განმეორდეს, პარტიის XXVI ყრილობაზე ჩვენ ვთქვით, რომ უმჯობესია ვისწავლოთ მიღწევებზე, ვიდრე შეცდომებზე. მაგრამ შეცდომებიც ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილია.

ასეთი გაკვეთილი მოგვცა ჩვენმა არცთუ ისე შორეულმა წარსულმა. ჩვენ როდი დავხუჭეთ თვალი ამ წარსულზე, პირიქით, გავაშიშვლეთ და გავაანალიზეთ ნეგატიური მოვლენების ფესვები და მტკიცე ბრძოლა გავაჩაღეთ მათი აღმოფხვრისათვის. ახლა უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ 70-იან წლებში, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცხობილი დადგენილების შემდეგ, სწორედ ასეთმა მიდგომამ მოგვცა შესაძლებლობა მოგვეხდინა გარდატეხა რესპუბლიკის მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატში. პარტიისა და მთავრობის, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ყოველმხრივი მხარდაჭერის მეოხებით ჩვენ მნიშვნელოვან ძვრებს მივაღწიეთ ეკონომიკის დარგშიც.

ახლა ჩვენში ყველგან მკვიდრდება მაღალი პრინციპულობის. მომთხოვნელობის, პატიოსნებისა და სამართლიანობის ატმოსფერო. რა თქმა უნდა, ეს ურთულესი პროცესია და იგი ყველგან ერთგვაროვნად როდი მიმდინარეობს. ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც არ სურთ კომუნისტური მორალის ნორმების, პარტიის მოთხოვნების შესრულება. მაგრამ უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოვალეობი ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში არსებითი გაჯანსაღების ტენდენციის ჩამოყალიბებაა.

მკვეთრი გარდატეხა ხდება აჩარაშიც. საოლქო პარტიული ორგანიზაცია, საოლქო კომიტეტის მიერ ამბ. ვ. რ. პაპუნიძის მეთაურობით, მინისტრთა საბჭოსულ უფრო ხვეწენ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის სტილსა და მეთოდებს და მშრომელი მასების ნამდვილი წინამძღოლები ხდებიან. ამის ყველაზე კონცენტრირებული გამოხატულება ის არის, რომ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლისა და მთლიანად მეათე ხუთწლედის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ავტონომიური რესპუბლიკა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად იქნა მიჩნეული და მას გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ეს კი ნიშნავს, რომ საბჭოთა აჩარის მშრომელები დღეს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის გაშლილი საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში არიან.

ამიტომაც იყო, როცა პარტიის XXVI ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, მთლიანად 70-იანი წლები ქვეყნის, ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გზაზე წინგადადგმული ნაბიჯად მივიჩნიოთ, ჩვენ უდავოდ აღვიქვით ეს სიტყვები იმ დიდი ნაბიჯის შეფასებად, განვლილი ათწლეულის მანძილზე რომ გადადგა თავის ეკონომიკურ განვითარებაში საბჭოთა აჩარამ, სადაც სამრეწველო წარმოების მოცულობა 1,7-ჯერ გაიზარდა და, ამ მხრივ, განსაკუთრებით საგულისხმოა მეათე ხუთწლედის წლები, როცა მნიშვნელოვნად გადიდდა შრომის ნაყოფიერება, როცა ამდენი რამ გაკეთდა პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად, როცა მწყობრში ჩადგა მრავალი ახალი საწარმო და, მათ შორის, ბათუმის ჩაის საწონი ფაბრიკა, რომელმაც უკვე მიაწოდა მომხმარებლებს 30 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია. დამთავრდა ცენტრალური გადასატვირთავი ნავთობბაზის პირველი რიგის სამუშაოები, საექსპლოატაციოდ გადაეცა სამგორ-ბათუმის ნავთობსადენი.

არსებითი ცვლილებები მოხდა სოფლის მეურნეობაშიც. ავიღოთ, მაგალითად, ისეთი კულტურა, როგორიც არის ჩაი. ჩემგან არ გესწავლებათ, რაოდენ დიდი ჯაფა ადგათ ჩაის მკრეფავებს. და იმას, რომ ახლა ჩაის პლანტაციებში სულ უფრო ფართოდ გამოიყენება მექანიზაცია — ჩაის საკრეფი მანქანები და ხელის აპარატები, რასაც ჩვენი აზრით, დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვს. მეათე ხუთწლედში მიღწეულია ციტრუსის, ჩაის ფოთლის, თამბაქოსა და სხვა კულტურების უხვი საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა. წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც, ისევე როგორც მთელ სახალხო მეურნეობაში, მშენებლობაში, საბინაო მშენებლობაში.

ერთი სიტყვით, პარტიის ყრილობას და თავიანთ იუბილეს საბჭოთა აჩარის მშრომელები ეკონომიკის დარგში მოპოვებული დიდი წარმატებებით შეხვდნენ. განუხრელად ვითარდება სოციალურ-კულტურული სფეროც. ამიტომაც იყო, როცა სკკპ XXVI ყრილობაზე, შეეხო რა საბჭოთა საზოგადოების განვითარების ძირითად ტენდენციებს, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, კერძოდ, ხაზგასმით აღნიშნა: ახლა ეროვნული კულტურების აყვავებისა და ურთიერთგამდიდრების, ერთიანი საბჭოთა ხალხის — ახალი სოციალური ერთობის ინტერნაციონალური ერთობის კულტურის ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობსო, ჩვენ თვალსაჩინოდ დავინახეთ საბჭოთა აჩარის კულტურის მიღწევები. დღეს მას ღირსეული ადგილი უკავია ქართულ საბჭოთა ეროვნულ კულტურაში, — ამდიდრებს მის პალიტრას მდიდარი ფერებით, მატებს ეშხსა და ლაზათს. ფართოდ გაითქვეს სახელი და პოპულარობა მოიხვეჭეს პარმენ ლორიას, მამია ვარშანიძის, ნესტორ მალაზონიას ნაწარმოებებმა. ჩვენ დიდად ვართ მოხარული, რომ ცნობილ პოეტს ფრიდონ ხალვაშს ლიტერატურის დარგში „გაწეული დიდი ღვაწლისათვის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია მიენიჭა, რომ დრამატურგ ალექსანდრე ჩხაიძის პიესებმა ადგილი დაიმკვიდრეს ჩვენი ქვეყნის ბევრი თეატრის რეპერტუარში და რომ მას ქართველ დრამატურგთა შორის პირველს მიენიჭა პრემია „ხუთწლედის მატიანე“. ჩვენ დიდი ინტერესით ვეცნობით მამუდ ბოლქვაძის, შოთა ხოლუაშვილის, ხასან ინაიშვილისა და შოთა ზამთარაძის სკულპტურულ და ფერწერულ ნამუშევრებს.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია მხარის კულტურულ განვითარებაში მომხდარი ძვრები, თუ გავიხსენებთ, რომ არც ისე შორეულ წარსულში მთელ აჩარაში ერთი სკოლაც კი არ იყო. უცხოელ დამპყრობთა უღელმა აჩარა იქამდე მიიყვანა, რომ ძველი კოლხური და ძველი ქართული ცივილიზაციის აქტიური შემოქმედის, იმ ხალხის სულიერი ცხოვრება, რომელმაც ჩვენს მეცნიერებასა და კულტურას ტბელი აბუსერიძე და სხვა სასიქადულო მოაზროვნენი მისცა, სრული გადაგვარების პირას აღმოჩნდა. ახლა ავტონომიურ რესპუბლიკაში არის ოთხასზე მეტი ზოგადსაგანმანათლებელო სკოლა, რვა საშუალო სპეციალური და ხუთი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, პედაგოგიური ინსტიტუტი.

რევოლუციამდე მთელ აჩარაში ერთადერთი ჭოხ-სამკითხველო იყო. დღეს კი აქ გახსნილია სამასზე მეტი მასობრივი ბიბლიოთეკა, ორასამდე საკლუბო დაწესებულება. არის შესანიშნავი დრამატული თეატრი, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, ორი სახელმწიფო მუზეუმი, 13 სამუსიკო სკოლა, სახატვრო სკოლა და ა. შ.

დღეს ავტონომიურ რესპუბლიკაში სამეცნიერო-კვლევითს საქმიანობას ეწევა ათზე მეტი კოლექტივი. არსებითი შედეგებია მიღწეული მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი პრობლემების, კერძოდ, ისეთი პრობლემების დამუშავებაში, როგორიც არის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანა, სუბტროპიკული ნაყოფის გადამუშავების ტექნოლოგია და ა. შ.

განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების ინტენსიფიკაციის პროცესი დღეს მარტოოდენ ბათუმისა და ზღვისპირა რაიონებისათვის როდი არის დამახასიათებელი, რომლებიც ტრადიციულად ასრულებდნენ წამყვან როლს მხარის სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დღეს ეს პროცესი მიმდინარეობს მთის რაიონებშიც. პარტიის საოლქო კომიტეტი, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა თანამიმდევრულად ასრულებენ იმ დადგენილების პუნქტებს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ რომ მიიღეს მთის რაიონების განვითარების ღონისძიებათა შესახებ. თუმცა ღონისძიებები ამ მიმართულებით უნდა გაძლიერდეს.

საგრძნობლად გააქტიურდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება მთის რაიონებში, სწორედ აქ იშვა და უკანასკნელ ხანს მტკიცედ დამკვიდრდა ახალი სოციალისტური წესჩვეულებები და დღესასწაულები. და ჩვენ ამას განსაკუთრებით მივესალმებთ.

მეთერმეტე ხუთწლედში განზრახული გვაქვს კიდევ უფრო მტკიცედ გავატაროთ რესპუბლიკის ყველა რაიონისა და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური დონის გაწონასწორების გეგმა და ამ საკითხს უდიდეს ეკონომიკურ და პოლიტიკურ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს აჩარაშიც. ავტონომიურ რესპუბლიკაში კიდევ უფრო განვითარდება ისეთი პერსპექტიული დარგები, როგორიც არის მანქანათმშენებლობა, ელექტროტექნიკა, რომლებიც დღეს სულ უფრო მეტად განსაზღვრავს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპსა და ხასიათს.

სოფლის მეურნეობაში ღონისძიებანი და კიდევ უნდა გაღრმავდეს სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის, ინდუსტრიული საფუძველზე დარგის შემდგომი გადაყვანის პროცესი, ამ მიმართულების კონკრეტულ პროგრამას შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილი დადგენილება ჩვენს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების შესახებ. როგორც იცით, ამხანაგებო, ამ დადგენილებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სამხრეთულ და სუბტროპიკულ კულტურებს, რომელთა ერთ-ერთი მთავარი მწარმოებელია საბჭოთა აჩარა. დასახული მიზნების მიღწევა შესაძლებლობას მოგვცემს კიდევ უფრო მეტად გავამტკიცოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკური ბაზა, მკვეთრად გავზარდოთ მათი რენტაბელობა.

ამასთან დაკავშირებით სერიოზული ამოცანები დგას საოლქო პარტიული ორგანიზაციის, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების წინაშე. საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა იმას, რომ კვლავაც შეუპოვრად ვიღვწოდეთ პარტიული, სახელმწიფო, შრომის, საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის, იმისათვის, რომ ჩავუნერგოთ ადამიანებს მაღალი შეგნება, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, ავამაღლოთ მათზე იდეოლოგიური და ალმზრდელობითი ზემოქმედების ეფექტიანობა. ამავე დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამხედრო-პატრიოტულ მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები.

ამის მიზეზი მრავალია, და ერთი ერთი მათგანი ჩვენი სამშობლოს რუკაზე თვით აჩარის მდებარეობაა. ჩვენმა ქვეყანამ, სამშობლომ ავტონომიურ რესპუბლიკას ანდო ქვეყნის სამხრეთი საზღვრების დაცვა, საზღვრის დაცვა კი, როგორც მოგეხსენებათ, მარტო მესაზღვრეთა საქმე როდია. ეს მთელი მოსახლეობის ვალია. ჩვენს სამხრეთ მეზობელთან — თურქეთთან — საერთოდ რიგიანი, ნორმალური ურთიერთობა გვაკავშირებს, ამ ტრადიციის საუთვეებთან იდგნენ ვ. ი. ლენინი და ქემალ ათათურქი, და მას შემდეგ ჩვენი კავშირურთიერთობა წარმატებით ვითარდება.

მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია, ამხანაგებო, ჯეროვნად არ შევაფასოთ ის გარემოებაც, რომ თურქეთის ტერიტორიაზე განლაგებულია ნატოს — ამ აგრესიული ბლოკის ათობით სამხედრო ბაზა. ყველამ კარგად იცის, საით არის მიმართული ამ ბაზებზე განლაგებული იარაღის ლულები.

სწორედ ამიტომ უფლება გვაქვს მოვთხოვოთ ავტონომიური რესპუბლიკის კომუნისტებს, მოვთხოვოთ მშრომელებს განსაკუთრებული პოლიტიკური სიფხიზლე, იდეოლოგიური სიმწიფის მაღალი დონე.

ხომ ხედავთ, ამხანაგებო, საზეიმო სხდომა გვაქვს, მაგრამ ჩვენ მაინც გადასაწყვეტ ამოცანებს, პრაქტიკულ საქმეებზე ვლაპარაკობთ. ჩვენ აქამდეც არაერთგზის მიგვიმართავს მათთვის სხვადასხვა შეხვედრის დროს. ბევრი რამ თქმულა, კერძოდ, მეცხოველეობაზე, რომელსაც ლ. ი. ბრეჟნევმა უწოდა დამკვრელური ფრონტი სოფლად, სხვა პრობლემებზე, ამოცანებზე ჩვენ მუდამ ვლაპარაკობთ — დღესასწაული იქნება ეს თუ სადაგი დღეები. და ჩვენი სკკ-ბაასი ყოველთვის დროულია: ყოველგვარი ზეიმი ხომ სწორედ პრაქტიკულ საქმეებს მოსდევს.

ახლა საბჭოთა აჩარამ ფეხი შეედგა თავის მეშვიდე ათწლეულში, რომლის კონტურები მკაფიოდ გამოიკვეთა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებში. ეს იქნება დაძაბული ათწლეული. ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ კიდევ უფრო რთული პრობლემები, თავდადებით ვიშრომოთ, არ შევანელოთ 70-იან წლებში მიღწეული ტემპი, რომლისთვისაც ყრილობაზე შეგვაქო ჩვენი პარტიის მეთაურმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. ჩვენ დასახული გვაქვს გავიდეთ ყველაზე მოწინავე პოზიციებზე ქვეყანაში, რათა კიდევ უფრო ავამაღლოთ ჩვენი რესპუბლიკის, მისი კომუნისტების, ყველა მისი მშრომელის პრესტიჟი და ავტორიტეტი.

ეს შესანიშნავი ათწლეული იქნება. სწორედ ასეთად გვესახება იგი ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე; კიდევ უფრო დამშვენება ჩვენი მიწა-წყალი, კიდევ უფრო გაიზრდება ჩვენი საზოგადოებრივი დოვლათი, მრავალფეროვანი გახდება ადამიანთა ცხოვრება. შესანიშნავი პერსპექტივები ისახება 80-იან წლებში საბჭოთა აჩარის წინაშეც. ეს პერსპექტივები ისეთი შთამბეჭდავი და მომხიბლავია, რომ მართლაც ღირს მათი მიღწევისათვის არ დაიშუროთ ძალღონე და ენერგია.

აი რატომ არ გვეპარება ეჭვი, რომ თავისი სახელოვანი ისტორიის მიჯრიგ ათწლეულში საბჭოთა აჩარა ახალ დიდ ნაბიჯს გადადგამს და საზოგადოებრივი პროგრესის მორიგ საფეხურზე ავა. ეჭვი არ გვეპარება, რომ თავის 70 წლისთავს, რომელსაც ჩვენ 10 წლის შემდეგ აღვნიშნავთ, ავტონომიური რესპუბლიკა, ახალი, კიდევ უფრო საჩინო მიღწევებით შეეგებება. დღეს კი, გილოცავთ რა 60 წლის იუბილეს, გისურვებთ თქვენ, ძვირფასო მგზობრებო, ყველა კომუნისტს, აჩარის ყველა მშრომელს დღეგრძელობას და დიდ პირად ბედნიერებას, წარმატებებს ყველგან და ყველაფერში — მუშაობაში, საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში.

ნება მიბოძეთ, გამოვთქვა რწმენა, რომ ავტონომიური რესპუბლიკის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია, აჩარის სახელოვანი ქალები და ახალგაზრდობა არ დამომობენ მოპოვებულ პოზიციებს, კიდევ უფრო მეტ წვლილს შემატებენ კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეს, პირნათლად გაართმევენ თავს ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული განვითარების ამოცანებს, საბჭოთა ხალხს რომ დაუსახეს სკკპ XXVI ყრილობამ, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა;

გაუმარჯოს საბჭოთა აჩარას!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს მშრომელ კაცს — ჩვენი სოციალისტური საზოგადოების მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა ჭეშმარიტ შემოქმედს!

დიდება საბჭოთა კავშირის ლენინურ კომუნისტურ პარტიას და მის ცენტრალურ კომიტეტს ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით!

ხმამაღლა „საბჭოთა აჩარა ნაკ წლისაა“ გააკეთა ამხ. ვ. რ. პაპუნიძემ.

საიუბილეო საზეიმო სხდომის ყველა დამსწრის, აჩარის ასს რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის სახელით მან გულითადი მადლობა გადაუხადა ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს გულთბილი მისალმებისათვის, ავტონომიური რესპუბლიკის მიმართ გამოთქმული კეთილი სურვილებისათვის, იმ დიდი ზრუნვის, მხარდაჭერისა და დახმარებისათვის, რომელსაც აჩარის მშრომელები დღენიადაგ გრძნობენ თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში და რომელიც ბევრ რამეს ავალებს მათ.

მომხსენებელმა დიდი მადლობა გადაუხადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და მინისტრთა საბჭოს იუბილესთან დაკავშირებით აჩარის ასს რესპუბლიკის მშრომელებისადმი მისალმებისა და გულთბილი მილოცვისათვის.

—სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 1917 წლის ოქტომბერში, — თქვა ვ. რ. პაპუნიძემ, — უდიდესი გავლენა მოახდინა საქართველოს მშრომელ მოსახლეობაზე. ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაცია საქართველოში ერთ-ერთი პირველი მიესალმა საბჭოთა მთავრობას. აჩარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთვის ბრძოლა უკიდურესად მძიმე პირობებში მიმდინარეობდა. ეს მხარე დიდხანს უცხოელი ინტერვენტების მიერ იყო ოკუპირებული, რომლებიც ცდილობდნენ გადაექციათ აჩარა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ პლაცდარმად.

ვ. ი. ლენინი უურადღებით ადევნებდა თვალყურს აჩარაში და, კერძოდ, ბათუმში მიმდინარე მოვლენებს და მოითხოვდა დაწვრილებით ეცნობებინათ ადგილებზე საქმის ვითარება. 1920 წლის 8 მაისის წერილში სერგო ორჯონიკიძე ბელადს სწერდა, ბათუმი ერთ პლაცდარმად.

ვ. ი. ლენინი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს აჩარაში და, კერძოდ, ბათუმში მიმდინარე მოვლენებს და მოითხოვდა დაწვრილებით ეცნობებინათ ადგილებზე საქმის ვითარება. 1920 წლის 8 მაისის წერილში სერგო ორჯონიკიძე ბელადს სწერდა, ბათუმი ერთ პლაცდარმად.

საიუბილეო საზეიმო სხდომის ყველა დამსწრის, აჩარის ასს რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის სახელით მან გულითადი მადლობა გადაუხადა ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს გულთბილი მისალმებისათვის, ავტონომიური რესპუბლიკის მიმართ გამოთქმული კეთილი სურვილებისათვის, იმ დიდი ზრუნვის, მხარდაჭერისა და დახმარებისათვის, რომელსაც აჩარის მშრომელები დღენიადაგ გრძნობენ თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში და რომელიც ბევრ რამეს ავალებს მათ.

მომხსენებელმა დიდი მადლობა გადაუხადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და მინისტრთა საბჭოს იუბილესთან დაკავშირებით აჩარის ასს რესპუბლიკის მშრომელებისადმი მისალმებისა და გულთბილი მილოცვისათვის.

—სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ 1917 წლის ოქტომბერში, — თქვა ვ. რ. პაპუნიძემ, — უდიდესი გავლენა მოახდინა საქართველოს მშრომელ მოსახლეობაზე. ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაცია საქართველოში ერთ-ერთი პირველი მესალმა საბჭოთა მთავრობას. აჩარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთვის ბრძოლა უკიდურესად მძიმე პირობებში მიმდინარეობდა. ეს მხარე დიდხანს უცხოელი ინტერვენტების მიერ იყო ოკუპირებული, რომლებიც ცდილობდნენ გადაექციათ აჩარა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ პლაცდარმად.

ვ. ი. ლენინი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს აჩარაში და, კერძოდ, ბათუმში მიმდინარე მოვლენებს და მოითხოვდა დაწვრილებით ეცნობებინათ ადგილებზე საქმის ვითარება. 1920 წლის 8 მაისის წერილში სერგო ორჯონიკიძე ბელადს სწერდა, ბათუმი ერთ პლაცდარმად.

ბათუმში თავმოყრილი რევოლუციამდელი აჩარის მრეწველობა — ეს ნახევრად შინამრეწველური ლეთონდასამუშავებელი სახელოსნოები და პატარა-პატარა თამბაქოს ფაბრიკები იყო, რომლებიც წელიწადში ნაკლებ პროდუქციას უშვებდნენ, ვიდრე ახლა ქალაქის მრეწველობა ერთ საათში იძლევა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აჩარის ასს რესპუბლიკაში შეიქმნა მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგები: ნავთობგადასამუშავებელი, გემთსაშენებელი, ქიმიური, ელექტროენერგეტიკული, ელექტროტექნიკური, მანქანათსაშენებელი, ხის დამუშავებელი, მსუბუქი, კვებისა და სხვა დარგები.

აჩარა ახლა დიდად განვითარებული სუბტროპიკული მეურნეობის მხარეა. ჩაის პლანტაციები ექვსი ათეული წლის მანძილზე 914-დან 8.000 ჰექტარამდე გაიზარდა. მზენაე ჩაის ფოთლის მთლიანი მოსავალი — 355 ტონიდან 66 ათას ტონამდე, საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა —350 კილოგრამიდან 8.820 კილოგრამამდე. რევოლუციამდელ პერიოდში მანდარინის, ფორთოხლის, ლიმონის ნარგავებს უმნიშვნელო რაოდენობით ნახავდით დენდროლოგიურ პარკებში. დღეს ციტრუსის ბაღებს 7.520 ჰექტარი უკავია.

აჩარაში ნამდვილი კულტურული რევოლუცია მოხდა. ახალმა ყოფამ ახალი აზრი მიანიჭა ადამიანის ცხოვრებას. ფართოდ გაუღო მას განათლების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების კარი. მხარეში, სადაც რევოლუციამდე მოსახლეობის 93 პროცენტი უწიგნური იყო, ძირითადად დამთავრდა ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადაყვანა. აჩარის 411 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლობს 79 ათასი მოსწავლე. ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედებს 8 საშუალო სპეციალური, 5 პროფესიულ-ტექნიკური, 2 უმაღლესი სასწავლებელი. 14 სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებაში 370 მეცნიერი თანამშრომელი მუშაობს.

თავის სასიხარულო დღესასწაულს აჩარის ასს რესპუბლიკა დიდი შრომითი გამარჯვებებით ეგებება. „თუ გონების თვალს გადავავლებთ უკანასკნელ წლებში მიღწეულს, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებმა პირნათლად შეასრულეს სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანები: მეათე ხუთწლედი თავის

გვესაუბრება მინისტრი

მყიდველმა რომ გვითხრას: „გმადლობთ!“

გახსოვთ ჩეხოვის სიტყვები — „ადამიანში ყველაფერი მშვენიერი უნდა იყოს — სახეც, ტანსაცმელიც, სულიც, აზრებიც“. ჩვენი ადამიანები წლითიწლობით ცდილ უფრო შეძლებულად ცხოვრობენ. და ბუნებრივია, მათი სულიერი ჩაიცვან ლამაზად, ელეგანტურად. მათი ამ სურვილის დაკმაყოფილება ბევრი სამინისტროსა და უწყების ამოცანაა. როგორ ასრულებენ და როგორ აპირებს ჩვენი რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო შემდგომში გადაწყვეტოს ეს ამოცანა? ამ კითხვაზე საქინფორმის კორესპონდენტის რ. სულავას თხოვნით პასუხს იძლევა მინისტრი გ. გამც�dze.

